საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №402

2013 წლის 10 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 28 ივნისის №397 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 28 ივნისის №397 ბრძანებულებაში (სსმ, III ნაწ., 2006 წ., №88, მუხ. 1166) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 14^1 პუნქტი:

„14^1. მფრინავებსა და მფრინავთა შემადგენლობას თანამდებობრივ სარგოებზე ეძლევათ დანამატები შემდეგი ოდენობით:

თანამდებობა	**დანამატი (ლარი)**
მთავარი სამმართველოს უფროსი (მფრინავი)	3750
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე საფრენოსნო მომზადების დარგში (მფრინავი)	3500
ესკადრილიის მეთაური (მფრინავი)	2700
ესკადრილიის მეთაურის მოადგილე (მფრინავი ინსტრუქტორი)	2500
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე საინჟინრო-საავიაციო დარგში (უფროსი ბორტინჟინერი)	2000
ქვეგანყოფილების უფროსი (მფრინავი), ქვეგანყოფილების უფროსი (მფრინავი ინსპექტორი)	1800
მთავარი სპეციალისტი (მფრინავი), მთავარი სპეციალისტი (მფრინავი ნავიგატორი)	1625
წამყვანი სპეციალისტი (მფრინავი), ცენტრის უფროსი (ბორტინჟინერი)	1500
განყოფილების უფროსი (ბორტინჟინერი)	1100
მთავარი სპეციალისტი (ბორტტექნიკოსი ინსტრუქტორი), მთავარი სპეციალისტი (საფრენი აპარატების ექსპლუატაციის ინჟინერი, ბორტტექნიკოსი	

	900
წამყვანი სპეციალისტი (ბორტტექნიკოსი), წამყვანი სპეციალისტი (ბორტმექანიკოსი ოპერატორი)	850“.

2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**